№ 19 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი I. კვირა 22 ივლისი, 1912

# ჩვენი ცხოვრება

გაზ. „ჩვენი ცხოვრება“ ღირს როგორც ქუთაისში, ისე ქუთაისს გარეთ, ერთი წლით—7 მ., ნახევ. წლით—4 მ., სამი თვით ქუთაისში—2 მ. და 50 კ., თვიურათ ქუთაისში—80 კ., ქუთაისს გარეთ—90 კ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც ქუთაისში ღირს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 3 მ., 3 საათს შემდეგ 4 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ამათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ მოწერას არ კისრულობს ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა პროვინციაში 40 კ.

რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლში.

ფართლეულობის მაღაზია

სავაჭრო სახლი ა. მ. ვართანოვი და ამხ.

ვორონცოვის ქუჩა სახლი ჭიჭინაძისა.

იშოვება დიდი ძალი ახალი მოდის ფართლეულობა. ფასები ძლიერ ზომიერია და უვაჭროთ შაბათობით ნაჭრების იაფი გაყიდვა.

ამ წლის პირველი ივლისიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი

„ჩვენი ცხოვრება“

გაზეთი წლიურათ ღირს 7 მან., ნახევარის წლით—4 მ., სამი თვით—2 მ. ð 10 კ. თვიურათ ქუთაისში—80 კაპ., ქუთაისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნუმრის ფასი ყველგან ერთი შაური. საზღვარგარეთ 14 მან. განცხადება პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან. რედაკტორ-გამომცემელი ა. სულაქველიძე.

ფულის გამოსაგზანი ადრესი: Кутаисъ, Юстину Гавріил. Баланчивадзе.

ფულის მიღება შეიძლება მხოლოდ ბალანჩივაძის სახელზე. რედაქციის ადრესი: ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, თედორაძის სახლი, № 6.

ქაღალდის პაკეტების ფაბრიკა და სწრაფლ-მბეჭდავი

გ. ლ. კვერღელიძისა და დ. ვ. რამიშვილისა

ბათუმში, პეტერბურგის ქუჩა, № 48 რკ. გზ. სადგურ. სიახლოვეს

მიიღება დაკვეთა ყოველნაირი ხარისხისა და ზომის პაკეტებზე: აფთიაქებისათვის კანდიტერებისათვის, საბაკალეინო მაღაზიებისათვის, ხილეულობისთვის და სხ. დაკვეთილი პაკეტები მზადდება ჩქარა და დროზედ კეთილ-სინიდისიერად ნიმუშები პირველ მოთხოვნილებისამებრ.

ფასები ყოველ კონკურენციის გარეშე.

დეპოს ადრესი: Фабрика Квергелидзе и Рамишвили.

მუშხუნა „ჩვენი გემო“ კვასი.

დღე არ გაივლის ისე, რომ ჩემში სასცინაბ-მეკვიპრეში საყვედური არ მითხრან: კვასმა „გემომ“ თავისი უწინდელი ღირსება დაკარგა და ეს არ უნდა მოგსვლოდაო. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ ჩვენ არავითარი საერთო არა გვაქვს „გემოსთან“. ჩვენ, როგორც მისმა დამაარსებელმა და მოხელემ, გავაუქმეთ ის და მის მაგიერ დავაარსეთ „ჩვენი გემო“ და თუ „გემოს“ სახელით უშვებს ვინმე კვასს, ეს მხოლოდ სიყალბეა. და ამისთვის მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც აინტერესებს კარგი ღირსების ნადული წყლიდან დამზადებული პურის კვასი, მოითხოვონ ყველგან „ჩვენი გემო“ და არ აურიონ ის მის მზგავს ფირმებში.

პატივისცემით მათე გორგილაძე და ამხანაგობა.

მისამართი: სუდებნი ქუჩა, სახლი № 6.

## განცხადებანი

### თბილისის ხელისმომწერთა საყურადღებოთ.

თბილისში გაზ. „ჩვენ ცხოვრებაზე“ ხელის მოწერა შეიძლება შემდეგ ადგილებში: 1) პირველ საპოლიციო უბანში ვერაზე, ბელინის ქუჩა № 13, კვასი „გემოს“ ქარხანა; მოსე ფირცხალაშვილთან. 2) ერევნის მოედანთან, სომხის ბაზრისა და პუშკინის ქ. კუთხე № 1; 2) ვასილ კუციავას მაღაზიაში. 3) ავლაბარში: მე 7-დე საპოლ. უბ., კახეთის ქ. № 7, ავტომობილის სადგური (თბილ.-სიგნახ.) ავთანდილ გულიევთან.

ექიმი ირ. ცეხანოვსკი ლებულობს შინაგან, საშარდე, სასქესო, ვენერიულ სენით და სიფილისიან ავათმყოფებს დილის 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე.

ადრესი: კარავან სარაისა და მიხაილოვის ქუჩების კუთხე, სასტუმრო „ლონდონი“.

თფილისი, ნაძალადევი.

ექიმი კბილისა

ა. (გ) ბ. დოლიძე გადავიდა ნაძალადევში რკ. გზ. ხიდის ახლოს ჩერქეზოვის ქუჩაზე № 145, ბ. დვალიძის სახლში.

სწამლობს კბილისა, ღრძილისა და პირის ავათმყოფობას, აგრეთვე აკეთებს პლომბებს, სწმენდს და აცილებს კბილის ქვას, იღებს უვარგისს კბილებსა და ფესვებს და უდგამს ხელოვნურ კბილებს. დილის 8—2 ს-მდი და საღ. 5—7 საათ.

## ჭიათურაში

ჟურნალ-გაზეთების აგენტთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთ. „ჩვენი ცხოვრება“-ზე. მიიღება აგრეთვე ყოველგვარი განცხადებები, იმავე გაზეთში მოსათავსებლათ. ამასთანავე ზოგიერთ აქაურ მკითხველთა საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ დროზე გაგვისწორონ მათზე დარჩენილი ანგარიში; წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით მათი სახელი და გვარი გაზეთში გამოვაქვეყნოთ და თუ ამ საშუალებამაც არ გასჭრა, მაშინ მათთვის უფრო შესაფერ სასტიკ ზომასაც მივმართავთ.

გაზ. ბიუროს აგენტი ჭიათურაში.

**ფოთში** ჩვეულებრივ მიიღება ხელის მოწერა გაზ. „ჩვენი ცხოვრებაზე“ ბინაზე მიტანის არ გადახდებათ, აგრეთვე მიიღება საგაზეთო განცხადებები.

P. S. მოვაგონებთ იმ პირებს, რომლებსაც სამი და ექვსი თვის განმავლობაში ბინაზე მიტანილი გაზეთების ფასი არ გადაუხთია, ვთხოვთ 20 ივლისამდ შემოიტანონ.

პატივის ცემით ს. დ. ორაგველიძე.

Курсистка Моск. Высш. Жен. Курс. репетируетъ по всѣмъ предметамъ, (долголѣтняя практика) специальность русск. яз. и литература. Ивановская ул., близъ нагорнаго участка, д. Оганезовыхъ. Спросить Астафьеву.

ექიმი მ. მგალობლიშვილი იღებს ბავშთა, შინაგან და საბებიო სნეულ ავადმყოფთ, დილის 10—1 საათ. საღ. 5—7.

გაგარინის ქ. № 1, პოლიცმეისტრის კანცელარიის პირდაპირ.

პაებზე დამყარებულ ამხანაგობის გამგეობა

ს. მ. კირაკოზოვი და ბ. გ. ოგანოვი

რომლის წესდებაც უმაღლესად დამტკიცებულია 1912 წ. 10 ივნისს, ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამხანაგობამ დაიწყო მოქმედება ამა წლის 1 ივლისიდან და ძირითად თანხად 1,200,000 მან. აქვს.

ამხანაგობის გამგეობა იმყოფება ქ. კავკავში. გამგეობის დირექტორად ამორჩეულნი არიან:

სერგეი მარკის ძე კირაკოზოვი, ივანე ბოღდანის ძე ოგანოვი, გრიგოლ ბოღდანის ძე ოგანოვი და ივანე ილიას ძე ვავილოვი.

ამხანაგობა აწარმოებს ნარდათ (Оптомъ) და წვრილ ვაჭრობას ფართლეულისას.

1. ნარდზე სავაჭრო საწყობებია: კავკავში, გროზნაში, გეორგიევსკში, თფილისში, ქუთაისში, გეორგიევსკისა და გროზნას ბაზრობაზე.

2. წვრილად ვაჭრობა არის: კავკავში, გეორგიევსკში, პიატიგორსკში, თფილისში, ქუთაისში, სტანიცა არდონში და სოფ. პროსკოვეისკში.

მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო

ბანკის გამგეობა

ქუთაისში

ამით აცხადებს

1) რომ იგი **იძლევა გრძელვადიან სესხს** ქ.ქ. თელავისა, სიღნაღისა და ყარსის უძრავ ქონების გირავნობით და აგრეთვე დაბა ახალ-ქალაქისა, სურამისა, მიხაილოვისა, მანგლისისა, ცხინვალისა, ბორჯომისა, აბასთუმნისა, პოსად კოჯრისა, დაბა ჭიათურისა, ონისა. ხონისა, ყვირილისა, ახალ-სენაკისა, ზუგდიდისა, სამტრედიისა, საჩხერისა და ქობულეთის უძრავ ქონების დაგირავებით, **იმავე პირობებით, როგორც ქალაქის მამულები გირავდება.**

2) რომ **ქალაქ სოხუმში** 20 ივნისიდან ამა წლისა **გვყავს მუდმივი აგენტი-დამფასებელი** (თ. დავით გრ. წულუკიძე) **რათა სესხის გაცემა სწარმოებდეს დაუყონებლივ.**

## არჩევნების გარშემო.

რუსეთი თავისებური ქვეყანაა. აქ ყველაფერი განსხვავებულათ წარმოებს, რაც კი ადამიანის ხელიდან გამოვა. დღეს მაგალითად უკვე საარჩევნო ხანაა, და აბა დააკვირდით, რით განირჩევა იგი არა საარჩევნო ხანისაგან. მიმოიხედეთ თქვენს გარშემო და დაინახავთ რომ არაფრით.

ცხოვრება კვლავინდებურათ მიყუჩებულია: არსად გაისმის ხმა პარტიათა და ჯგუფთა შეხლა-შემოხლის. არავითარი ნიშან-წყალი საზოგადოებრივ აზრის გაცხოველებისა. ერთად-ერთი ნიშანი, რომლითაც შეგიძლიათ შეიტყოთ, რომ დღეს საარჩევნო ხანაა—ესაა პრესაში მოთავსებული ცნობები არჩევნების წესისა და ამრჩეველთა გულგრილობის შესახებ. ხანდახან ყურს მოკრავ კიდევ ორიოდსამიოდე მოსეირნეთა ლაყბობას სადეპუტატო კანდიდატზე ან ოცნებობას იმაზე, თუ ვინ გაიმარჯვებს, რომელი მიმართულება გაგზავნის ახალ დუმაში თავის წარმომადგენელს. ესაა და ეს.

ამბობენ „ობივატელი“ საშინელ გულგრილობას იჩენს; იგი თავის უფლებით სარგებლობაზე არ ზრუნავსო. ერთი მხრით ეს მართალიცაა. მას თუ გავითვალისწინებთ, რამდენი დაბრკოლებები უძევს წინ მის მისწრაფებას, ეს გულგრილობაც არც ისე გასაკვირათ მოგეჩვენებათ.

მართლაც, თუ „ობივატელს“, ამ ჩვეულებრივ მოქალაქეს არ აქვს დარდი არჩევნების, სადაა არა „ობივატელი“, არა უბრალო მოქალაქე, არამედ წარმომადგენელი პრესის, საზოგადოებრივ აზროვნების, სადაა ინტელიგენცია?

აბა გადაათვალიერეთ ჟურნალ-გაზეთები, რას დაინახავთ შიგ: ჩვეულებრივ მუსაიფს ყოველ-დღიურ არარაობაზე, და მხოლოთ გაკვრითი ცნობებს არჩევნებზე—ესაა საარჩევნო კანონის განმარტება და ცნობები „ობივატელის“ გულგრილობაზე.

ნუ თუ პრესას არ შესტკივა გული? ნუ თუ იგიც არ ცდილობს არჩევნებს ყურადღება მიაქციოს? რასაკვირველია ცდილობს, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ამ ცდის გზა და ხიდი მოჭრილია. კანონიერი გზით კანონიერი უფლებების დაცვაც კი ხშირათ სახიფათო გამხდარა დღევანდელ სინამდვილეში და პრესაც იძულებულია მიკიბ-მოკიბული საშუალება ეძიოს, გამოსაძრომი მონახოს, რომ საზოგადოებას, მკითხველებს უთხრას—აასრულეთ თქვენი მოვალეობა, მიიღეთ მხურვალე მონაწილეობა არჩევნებშიო.

რა ქნას ასეთ პირობებში უბრალო მცხოვრებმა? აბა სცადეთ ბინის დამქირავებლის ჩასაწერათ მოწმობის აღება; მართალია კანონი სწერს: პოლიცია ვალდებულია დაუბრკოლებლივ მისცეს მცხოვრებთ ასეთი მოწმობაო; მართალია სასჯელთა დებულების 328 მუხლი 8 თვიდან წლის და 4 თვემდე ციხით ემუქრება იმ თანამდებობის პირთ, რომელნიც ამრჩეველს საშვალებას წაართმევს თავის უფლებების განხორციელებისას უსაფუძვლო დაბრკოლების შექმნით; მას, კატისა და თაგვის არ იყოს, ეჟვნის შებმა არ უნდა.

აი აქ, ამაში იხატება მთელი სურათი მცხოვრებთა დაბეჩავებისა. თვითნებობასთან დამარტოხელებული შედავება ვერავის გაუბედია.

და დღეს კი ასეთი შედავება აუცილებლათ საჭიროა. თვითეულმა მცხოვრებმა უნდა ყოველივე ღონე იღონოს, რომ თავისი კანონიერი უფლებებით ისარგებლოს. ვინც სიებში მოწმობის მიუტანელათ არ შეაქვთ, მოვალენი არიან ყოველი ღონე იღონონ, რომ ასეთი მოწმობა აიღონ, ყოველ უსაფუძვლო უარის თქმაზე აუცილებლათ უნდა საჩივარი აღძრან.

კანონი მკვდარია, თუ მას განმახორციელებელი არ ეყოლა. უფლება ცარიელი სიტყვაა, სანამ მას დამცველი არ ეყოლება.

ჩვენ ვამბობთ—მცხოვრებთ უნდა ყოველი **კანონიერი საშვალებით** დაიცვან თავის საარჩევნო უფლებები. ამას მოითხოვს მათგან მოქალაქის და ადამიანის მოვალეობა. და ვინც რომელიმე მოხელისაგან დაბრკოლებას ხვდება, ან რაიმე უკანონო მოთხოვნას, დაუყონებლივ განასაჩივროს ეს.

ბევრ ქალაქებში ვექილებმა დაუყონებლივი დახმარება აღუთქვეს, ამ საქმეში მცხოვრებთ. კარგი იქნება ჩვენშიაც მიბაძავდენ ამის მაგალითს. ამით ისინი დიდ სამსახურს გაუწევდენ მცხოვრებთ. ამ უკანასკნელებმა არც კი იციან ვის მიმართონ საჩივრით, ან რის განსაჩივრება შეიძლება და რის არა. ზოგს თვით კანონით გამოწვეული დაბრკოლება—კანონის დარღვევათ ეჩვენება, ზოგი კი ნამდვილ დარღვევასაც კანონიერათ ჩასთვლის. აქ ერთის შეცდომა დანარჩენთ დააფრთხობს და გულს გაუტეხს, ხოლო გამარჯვება აafრთოვანებს და წაახალისებს. ამიტომ საჭიროა ასეთ პირებს დახმარება ქონდეს თავის უფლებით სარგებლობაში. საჭიროა ყველამ, ვისაც აინტერესებს ქვეყნის მომავალი, სათანადო მონაწილეობა მიიღოს მომავალ არჩევნებში და მით ხელი შეუწყოს მის ხალხის საკეთილდღეოთ გამოყენებას.

## საჭირო განმარტება.

ზოგიერთი ქალაქის გამგეობებმა, რომელთაც კანონით მინდობილი აქვთ საარჩევნო სიების შედგენა (მაგ. ქუთაისისამ) პენსიონერებისა და ბინის დამქირავებელთაგან განცხადების მისაღებათ, მარა საარჩევნო სიები ამ ვადაზე არ გამოუქვეყნებიათ, ქ. გამგეობა კი საარჩევნო კანონის მე-56 მუხ ძალით ვალდებულია განცხადებები მიიღოს ყოველთვის, სანამ სიებს დაბეჭდავდეს და გამოაქვეყნებდეს. აი რას ამბობს შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტება ამის შესახებ:

**„დაწესებულებები, რომლებიც საარჩევნო სიებს ადგენენ, ვალდებულნარიან მიიღონ განცხადებები ამომრჩევლებისაგან იმ დღემდი, სანამ სიებს ფაქტიურათ გამოაქვეყნებდენ.“**

აქედან, და თვით კანონის ტექსტიდანაც, აშკარათ სჩანს, რომ ქ. გამგეობამ ამრჩევლებისაგან უნდა მიიღოს განცხადება მათი სიაში შეტანის შესახებ მანამ, სანამ სიებს არ გამოაქვეყნებს.

ამიტომ ბინის დამქირავებელმა და პენსიონერებმა უნდა განაგრძონ განცხადებების შეტანა ქალ. გამგეობაში.

# ახალი ამბები.

გუშინ დილით ზოგიერთ ინტელიგენტების თანხლებით ჩვენი მხცოვანი მგოსანი აკაკი ქუთაისიდან რაჭაში გაემგზავრა.

✦ ახლო მომავალში ქუთაისში ჩამოვა ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის თანაშემწე ბ-ი ბარკი.

✦ სრულიად რუსეთის გამოფენაში, რომელიც რუსეთში 1913 წელს მოხთება, მონაწილეობას ქუთაისიც მიიღებს.

✦ ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა განსვენებულ იაკობ გოგებაშვილის პატივსაცემათ გამართავს დილას, რომელზედაც წაიკითხავენ იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიას, ლექციას მის მოღვაწეობაზე და სხვა.

✦ სოფლებიდან გვაცნობებენ — აბრეშუმის მოსავალი ყველგან ცოტა იყო. მოუსავლობის მიზეზი ერთის მხრით უამინდობა იყო და მეორე მხრით სოფლათ დარიგებული ცუდი აბრეშუმის თესლი. ყველა ფირმების აბრეშუმის თესლმა ნაკლები მოსავალი მოგვცა. საშუალო მოსავალი დაგვიტოვა მხოლოდ ხრისტოდულიდის ფირმის თესლმა.

✦ კვირას, 29 ივლისს, დ. ლანჩხუთში გაიმართება წარმოდგენა. ითამაშებენ გედევანიშვილის პიესას „გამცემს.“ წარმოდგენის დასასრულს გაიმართება კონცერტი.

✦ დღეს მგოსანი აკაკი ჭრებალოში წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ძველი ნაშთები საქართველოში“.

✦ 20 ივლისს კერძო ვექილ შესპუტოვსკის თფილისის ქუჩაზე მოპარეს ლე-ბი, რომლის ქურდი პოლიციამ მაძებარი ძაღლის საშუალებით აღმოაჩინა. იგი გამოდგა სკეტინგრინგში მოსამსახურე.

✦ ირკუტსკის გუბერნიაში გადაიცვალა პოლიტიკური ტუსაღი ლადო იაშვილი. განსვენებული კარგი ადამიანი იყო. თავისი წვლილი ლიტერატურაშიც შეუტანია: თანამშრომლობდა „ჯეჯილში“ „კვალში“, „ლამპარში“ და სხვა.

ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო კოოპერაციის რედაქტორს ბ-ნ ი. გაბილაიას ქუთაისში გამოსცეს ჟურნალი „შრომის კავშირი“, რომელიც გამოვა თვეში სამჯერ, ხოლო ჟურნალი „კოოპერაცია“ კი ერთხელ.

✦ როგორც ბათუმიდან გვატყობინებენ იქ ამ დღეებში ხუთასი თუმნის თავდებით ციხიდან გაუნთავისუფლებიათ ამას წინეთ სხვებთან ერთად დატუსაღებული ექიმი შატილოვი.

### თფილისი.

✦ **ქალაქის მოურავი** ა. ი. **ხატისოვი** გუშინ დილის მატარებლით, ხუთი კვირით დასასვენებლად წავიდა. მის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა ქალაქის მოურავის მოადგილე თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი.

✦ **ქალაქის გამგეობის წევრნი თ-ნი ა. მ. და ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვები**, რომელნიც ორ-ორი თვით დასასვენებლად იყვენ წასულნი, 19 ივლ. თფილისში დაბრუნდენ და გუშინდლიდან თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგენ.

# პროვინციის ქრონიკა.

**დიდი ჯიხაიში**. განზრახულია — კულაშის ორ-კლასიანი ნორმალური სახაზინო სასწავლებელი დიდ-ჯიხაიში გადმოიტანონ. ამის გამო, კვირას 15 ივლისს, სახალხო შკოლების ინსპეკტორი კარპოვი დიდ-ჯიხაიში ჩამოვიდა და საზოგადო კრებას წინადადება მისცა — შკოლისათვის საჭირო შენობა აგოს სოფელმა თუ სურს საზოგადოებას, რომ ამ გვარი ტიპის შკოლა ამ სოფელშიაც არსებობდეს. დიდ-ჯიხაიში ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი უკვე დაარსებულია, მაგრამ ის არ არის სახაზინო, ასე რომ, თუ ეს სასწავლებელი აქ გადმოვიდა, მაშინ ამ სოფელში სამი ორ-კლასიანი შკოლა იქნება: ერთი სამრევლო და ორიც სამინისტრო. რადგან ყრილობას საკმაო წევრთა რიცხვი არ დაესწრო, ამიტომ ამ საკითხის გადაჭრა შემდეგისათვის გადაიდო. სამოქალაქო შკოლის განაჩენი ჯერ არ დაუმტკიცებია მთავრობას.

— დიდ-ჯიხაიში ყოველ ზაფხულობით ინტელიგენცია ბლომათ იყრის თავს და წარმოდგენებიც სცენის მოყვარეთა მიერ ყოველ წლობით ხშირათ იმართებოდა ადგილობრივ შკოლის დარბაზში. წელს კი, შკოლის შენობაში, შკოლის ადმინისტრაციამ წარმოდგენები აღკრძალა; კერძო სახლები ძნელი საშოვნელი შეიქნა, ასე რომ, მთელი ზაფხული გადის ერთი წარმოდგენაც არ გვინახავს ადგილობრივ ძალების მიერ გამართული. სახალხო სახლის აგების საქმე შეჩერებულია.

— [illegible] ლოს განუზრახავს, სასოფლო საზოგადოაფთიაქი რომელიც ცალკე, ბაზრის მახლობლათ იმყოფება, ისევ ქსენონის შენობაში გადაიტანონ.

— გასულ წელს სიმინდის მოსავალი ნაკლები იყო, ასე რომ დიდ-ჯიხაიში, და პატარა ჯიხაიში, ჭაგანში, კულაში და საზოგადოდ მთელ სამტრედიის რაიონში, მცხოვრებთა უმეტესობას ამ ჟამათ სარჩო აკლია; ბევრს აბრეშუმის მოსავლის იმედი ქონდა; პარკი ნაკლებათ მოვიდა და ისიც დაბალ ფასებში იყიდებოდა; ჩარჩები ყიდიან ორჯერ მეტ ფასათ სიმინდს ან და ორკეც ფასიან ვექსილით ასაღებენ თავიანთ საქონელს. ხალხი დიდ-გაჭირვებას განიცდის. ადგილობრივი სასოფლო ბანკები კი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ გარემოებას.

— სხვა და სხვა კუთხიდან ჩამოსული ჩარჩები აუარებელ ხილს მიეზიდებიან [illegible] და საზოგადოთ მთელ სამტრედიის რაიონიდან. ადგილობრივ ფუთი კარგი ატამი, ვაშლი 10—15 კ. იყიდება, — ასეთივე ხილი მახლობელ ქალაქებში 2 მ.—2,50 კ. იყიდება ფუთი.

— სოფლათ გრილა. წვიმები ხშირია, სიმინდის მოსავალს წელს კარგი პირი უჩანს.

# სახელმწიფო დუმის ამრჩეველთა საყურადღებოთ.

ქალაქის ყველა მცხოვრებს, ვისაც კი 25 წელი შესრულებია და თავის სახელზე ერთი წლის განმავლობაში ისეთი ბინა ქონებია ნაქირავები, რომელსაც ცალკე შესავალი, სამზარეულო და თუნდაც ერთი ოთახი ქონდა, ნება აქვს მონაწილეობა მიიღოს დუმის არჩევნებში.

ვინც ბინის გადასახადს არ იხდის, ან მარტო მიმდინარე 1912 წ. გადიხადა, ის მოვალეა, რომ დროზე შეუდგეს საარჩევნო სიებში შეტანის თადარიგს; უნდა გამოცხადდეს ქალაქის „უპრავაში“ (12-ტ **ამ თვემდე ქუთაისში, 8 აგვისტომდე თფილისში** და სხ.) და ითხოვოს საარჩევნო სიაში შეტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სიაში არ შეიტანებენ და არჩევნების უფლებაც დაეკარგებათ.

თუ ბინის დამქირავებელს არ შესრულებია 25 წელიწადი, ან არ შესრულებია ბინის დაქირავების საჭირო ვადა — ერთი წელიწადი, მაგრამ ორივე ეს ვადა სიების შედგენამდე და გამოქვეყნებამდე შესრულდება, მას არ ერთმევა არჩევნების უფლება, ხოლო დროზე უნდა განაცხადოს ეს გარემოება, სადაც ჯერ არს.

განცხადება ახლა შეიძლება და მომავალშიაც, ვიდრე სიები გამოქვეყნდებოდეს (ქუთაისში ეს მოხდება 12 კვირიკობისთვეს შემდეგ, თბილისში კი 8 აგვისტოს), შემდეგ კი დაგვიანებული იქნება. ისინი, ვისაც ჯერ არ შესრულებია 25 წელი და არც ბინის ვადა, ან ერთი მათგანი და ამის გამო ეხლავე ვერ მოითხოვენ სიებში შეტანას, უნდა ცდილობდენ, ეს დრო არ გაუშვან ხელიდან განცხადება უნდა შეტანილ იქნას ქალაქის თავის სახელზე საქმე დღით დილის ათ საათიდან. აი განცხადებების ფორმა:

ვქირაობ რა ერთი წლის განმავლობაში ამ და ამ საპოლიციო ნაწილში, ამა და ამ ქუჩაზე ბინას, გთხოვთ შემრიცხოთ სახელმწიფო დუმის საარჩევნო სიაში. ბოლოში მიეწერება მთხოვნელის სახელი, გვარი და რიცხვი.

**განცხადებების დროს თან უნდა წარდგენილ იქნას მოწმობა, რომ ერთი წლის განმავლობაში ბინა გაქვთ დაქირავებული.**

ასეთ მოწმობათ გამოდგება ბინის დაქირავებისას დადებული კანტრაქტები, თუ მისი შესრულების დროს ხელის მოწერა დაამტკიცა ან ნოტარიუსმა და ან ვინმე მართებლობის პირმა.

ვინაიდან ასეთი კანტრაქტები ძვირათ იკვრება და ჩვეულებრივ შინაურულ პირობებით, ან კიდევ უბრალო მოლაპარაკებით ხთება ბინის დაქირავება, დამქირავებელთა უმეტესობას პოლიციიდან მოუხდება მოწმობის აღება. პოლიციას, უნდა წარედგინოს **ან ბინის წიგნი**, თუ ასეთი მოიპოვება, **ან სახლის პატრონის ან მისი მოადგილის მოწმობა**, რომ ერთი წლის განმავლობაში ბინას ქირაობდა, დასახელებულ დოკუმენტების შემოწმებას შემდეგ ბოქაული იძლევა ქალაქის გამგეობაში შესატან შესაფერ მოწმობას. არც ქალაქის გამგეობაში შესატან განცხადებას და არც პოლიციის მიერ მიცემულ მოწმობას საგერბო გადასახადი არ ესაჭიროება.

მოითხოვს, მცხოვრებნი ვალდებულნი არიან ახლავე შეუდგენ თადარიგს.

როგორც ქალაქის გამგეობაში, ისე პოლიციაში შესატანი განცხადება უნდა რუსულ ენაზე დაიწეროს.

# მცირე შენიშვნა.

**1 თუ 2 მანეთი.**

მკითხველს ეხსომება, რომ ქ. შ. წ. კ. გ. ს. კრებებზე რამდენიმე წლის წინეთ აღძრული იქნა საკითხი საწევრო ფულის შემცირების შესახებ. მაშინდელმა საზოგადოების მეთაურებმა „ეს მეტათ იუცხოვეს და „ერთი მიმართულების“ [illegible] გამოაცხადეს, ზოგმა [illegible] ბატონებელ საშვალებათ გამოაცხადა, სხვებმა კიდევ სრულიად უნაყოფო და უაზრო რეფორმათ.

მარა განვლო დრომ. მწარე გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ეს ცარიელი სიტყვები არ იყო, არამედ სისწორით გაგებული და ჩვენი ცხოვრების პირობებთან შეთანხმებული მოთხოვნილება.

მის მომხრეთა რიცხვი წლით-წლობით იზრდებოდა თვით მოპირდაპირე ბანაკშიაც და ბოლოს დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ იგი სასურველათ იცნო ივლისის კრებამ.

ახლა უკვე გამორკვეულ საკითხს ბ. ლ. ბზვანელი დაბრუნებია და რადგან იგი გამოურკვეველი გონებია, ზოგიერთ საყურადღებო ცნობას იძლევა. ცნობა ეხება ქუთაისს. „საწევრო ფულის სიმცირეს უნდა მივაწეროთ ის გარემოება, რომ ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტი, ორი წელიწადია, რაც არსებობს და ეხლავე 500-ზე მეტი წევრი ყავს დღეს. წ. კ. გამავრც, საზოგ. ქუთ. განყოფილებაში კი სამი წლის განმავლობაში ძლივს-ლაჩაეწერა 150-მდე წევრი — სამი თვის განმავლობაში ვიშოვე 40-მდე წევრი, მაგრამ, როდესაც ფულის გამორთმევაზე მივიდა საქმე. **სამ-სამ მანეთი ცოტა არ იყოს ემძიმათ და ბევრი ისევ გამოეწერა“**. (ხაზი ჩვენია).

როგორც ხედავთ, ყველას ვისაც, სურვილი აქვს წევრობის, საწევრო გადასახადი უძნელებს სურვილის განხორციელებას. ამიტომ ბ. ბზვანელი ურჩევს გამგეობას ყველგან წლიური 2 მანეთი გადასახადი დაწესდეს.

ის ალბათ შეშინებულა, იმ ერთი მიმართულების მომხრეობა არ დამწამონო, თორემ რაკი ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის მაგალითს მიმართა, საწევრო ფულშიაც მისი საზომით უნდა ესარგებლა და ბარემ ერთი მანეთი მოეთხოვა, როგორც იქაა დაწესებული?

რ.

### ბინის დამქირავებელ ამრჩეველთა გაწამაწია ქ. ბათუმში.

დღეს ამა ვისთვის არ არის ცხადი, რომ სამი ივნისის კანონით არჩევნების გარეშე აუარებელი მცხოვრები რჩება. ეს კანონის ძალით. მარა ამასთან ისიც ცხადია, რომ სხვადასხვა ხრიკების წყალობით ისეთებიც რჩება არჩევნების გარეშე, რომელთაც კანონით უფლება აქვთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა. ეს კი კანონის დარღვევის გამო. ამის საილიუსტრაციოთ და ზოგიერთ ვაჟბატონთა ხრიკების გამოსააშკარავებლათ აქ მსურს მოვუთხრო მკითხველს საინტერესო ამბავი იმ დაბრკოლების შესახებ, რაც ბათუმში ბინის დამქირავებელ ამრჩევლებს ხვდება გზაზე. საარჩევ-

# ფელეტონი.

## გაზაფხულის საღამო.

ე. ირაშისა.

(თარგმანი)

ვარშავა საუცხოვო ქალაქია, მაგრამ ქალბატონ ბოვარის თეთრეულის სამკერვალოს ფანჯრიდან მხოლოდ გამვლელ-გამომვლელთა ფეხები მოსჩანს. მძიმეთ მიაბიჯებენ ამერიკული ფეხსაცმელები, მიხტიან ქალის კოხტა ტუფლები და მათთან მიყვებიან ცისფერი, მწვანე და ვარდისფერი ჩულქები. შეიძლება ვარშავა კიდეც გავს პარიზს და კარგიც არის საღამოთი ყავახანის გაღებულ ფანჯარასთან ჯდომა და ათასნაირათ გამოწყობილ ბრბოს ტანსაცმელის შრიალის ყურის გდება... შეიძლება ეს კარგიც არის, მაგრამ ქალბატონ ბოვარის სახელოსნო მხოლოდ რვა საათზე იკეტება და დღის განმავლობაში მთელი გროვა თეთრეულის შეკერვის შემდეგ, თვალწინ კიდევ დიდხანს დგანან ლენტები, არშიები, ყურებში კი გრიალი გააქვს საკერავ მანქანას.

— ახ, რომ შეიძლებოდეს უბრალოთ და იოლათ ცხოვრება! — ფიქრობს რახილი და აგონდება ანნა. შარშან, სწორეთ ამ დროს, როცა კურსკში ბულბული ამღერდა, სადღაც ვარონეჟში კი ის იყო მერცხალი მიფრინდა, ანნამ თავი მოიწამლა.

ის სახელოსნოში არ მუშაობდა, დადიოდა სახლებში და დღიურათ კერავდა. სახის გამომეტყველება ქონდა სრულიად მშვიდი, წყნარი, აღუშფოთებელი, და რახილმა სამჯერ გადაიკითხა მისი სიკვდილისპირის წერილი, სანამ რაიმეს მიხვდებოდა. წერილში კი ეწერა:

„მე დავლიე საწამლავი. გარნა ცხოვრებაზე კი არ გამცრუებია იმედი. არა, მე არ მსურს მხოლოდ ის სიცოცხლე, რომელიც მაქვს. ჩემთვის ახლა სულ ერთია, ეჩვენება ვინმეს სასაცილოთ თუ არა, რომ ჩემი სიმაღლისა და ახირებული თმის პატრონს მოუნდა „მხიარული, წმინდა“ სიცოცხლე. მაგრამ ეს მართლაც ასეა. მე მართლაც მსურს ვიჯდე დივანსაქანელაში, მსურს ვღებულობდე ვანას, ვატარებდე, და არა მხოლოდ ვკერავდე არშიებით მოყოლებულ თეთრეულს, დავქროდე ეტლებით, ვცურაობდე ორთქლმავალი ნავით... მე მსურს ვისმენდე ოპერებს, ვუყურებდე უპირველეს არტისტებს... ასე კი, როგორც ახლა ვცხოვრობ, მეტი აღარ მსურს. კმარა რაც ვიცოცხლე. ოცდაათი წლის განმავლობაში მე ვერ შევნიშნე ჩემი ცხოვრების გაუმჯობესება. ახლა ჩემთვის ცხადია, რომ ეს გაუმჯობესება არასოდეს არ მოხდება.

„ქალისთვის არის ერთი „ბედნიერება“: „კარგი კაცი“, ე. ი, საყვარელი გამოჩნდება. დეე სხვა ვინმეს გამოუჩნდეს. მე კი ეს არ მიხდება. ყველაფერი არ იყიდება ჯერ კიდევ. და შეიძლება არც ძალიან ძვირათ იყიდოს ვინმემ. ყოველ შემთხვევაში ამაზე დავა არ ღირს. ჩემი ახირებული თმითა და მხტუნავი მიხვრა-მოხვრით მე მაინც არ ვიყიდები. მე მხოლოდ ვკვდები. მინდოდა უკანასკნელათ მეკოცნა შენთვის, რახილ, მარა ველარ მოვასწარი“..

მეტი წერილში არაფერი არ ყოფილა. დიახ, მეტი არაფერი არ ყოფილა.

რახილმა გააგდო ხელიდან შემოტეხილი ზეწარი და დაფიქრდა. შეიძლება მართლაც ასე არის?

რა ყრია შიგ, რომ კურსკში ბულბულნი გალობენ და სასიამოვნოა ყავახანის გაღებულ ფანჯარასთან ფიქრი, ფიქრი და ცქერა, თუ როგორ მიქრის მორთულ-მოკაზმული ბრბო და თითქოს ცეკვაობს მუდმივ, დაუსრულებელი და შეუწყვეტელ მხიარულების ცეკვას... რა ყრია შიგ?!.

მაგრამ შეიძლება ეს შეცდომაა, შეიძლება იქ, წარსულში მოიძებნება ბედნიერი დღეები?

აგონდება რახილს თავისი პატარა სამშობლო ქალაქი, ძველი, იასამანით შემოვლებული ხის სახლებით; აგონდება გახუნებული, ფერდაკარგული სახლი, ჩამოშვებული ფარდები და ნაზი, სევდიანი მელოდიური ხმები. როიალზე უკრავს ახალგაზრდა შლემერის ასული, რომელსაც რახილი კუმისს უზიდავს. შლებერის ასულს ქლექი სჭირს, მაგრამ რახილი შენატრის მას, — ისეთ სამოთხისებურ ჰანგებს მღერიან მისი ნაზი თითები.

რომ შესძლებოდა... რომ შესძლებოდა თუნდა ერთხელ მის სიცოცხლეში დაეკრათ რახილის თითებს ასეთი სიმღერა!!.

რახილმა მიიღო ხვედრი ფული, ის უკვე ქუჩაშია, მაგრამ არ მიდის, სდგას ძველ, დანგრეულ ქვაფენილზე და ისმენს სამოთხისებურ ჰანგებს, რომელსაც მღერიან შლებერის ასულის ნაზი თითები.

მზე ესვენება, და მისი უკანასკვნელი სხივები დნებიან ღრუბლებში; მზე ესვენება, და დნება, ნაზი, სევდიანი მელოდია, შლებერის ასულის თითებით ამეტყველებული...

განვლო დრომ. ცხოვრებამ დიდი მანძილი გაიარა წინ. როიალი დავიწყებას მიეცა. რახილს უნდა ეცხოვრა, ცხოვრება კი ნიშნავდა კერვას. კერვის დროს ხანდახან უნებლიეთ იქცევდენ მის ყურადღებას არშიები, ქუდები... მაგრამ ეს რახილს სრულებით არ აფიქრებდა, არ აწუხებდა, სურვილებს არ უძრავდა... ამიტომ ის კიდეც მიუხვდა და ვერც მიუხვდა უბედურ ანნას. და შეიძლება, ფიქრობს ის ახლა, შეიძლება, რახილი რომ უფრო ახლო ჩაკვირვებოდა მას მაშინ, ეს უბედურება არ მომხდარიყო...

— ქალებო, აალაგეთ სამუშაო, დაკეტვის დროა, — მოისმის ქალბატონ ბოვარის ხმა და რახილი ფიქრების შეუწყვეტლათ, მაშინალურათ ხურავს საკერავ მანქანას, ინახავს სამუშაოს და ნელ-ნელა ადის ზემო სართულში.

მაღლა, სახელოსნოს კარების პირდაპირ, გაზაფხულის საღამოა და ხალხი ბუზივით ირევა. მაღაზიებისა და კანტორების ღია კარებიდან სჩქაროთ გამოდიან ნოქარი ქალები, სწრაფად იცქირებიან სარკის ფანჯარაში, ისწორებენ თმას, ტანთსაცმელს და გარბიან... საუცხოვო ქუდები, ძვირფასი მანტოები და... ცარიელი მუცელი. სახლში მათ ელოდება გამხმარი თევზი და თხელი ჩაი, შემდეგ კი ღამის მხიარულება ყავახანის მდიდრებთან, ან და პაწია, უსუფთაო ოთახში დანჟღრეულ მაგიდაზე თეთრეულის რეცხვა.

მაგრამ საღამო მაინც მშვენიერია; თეთრი ეკლის ხე საუცხოვო სურნელებას აბნევს ირგვლივ, და სახელოსნოს მოწამლულ ჰაერს შემდეგ, გულს რაღაც ისეთი მშვიდი, ისეთი ნაზი სევდა და ჩივილი აწვება... და რახილს გონია, რომ ქონდეს მას დიდი, ძლიერი ხმა და ამღერდეს ახლა ამ ბრბოს წინაშე, ყველანი წამსვე გაიგებენ, რა საუცხოვო სევდიანი საღამოა, რა კარგია სიცოცხლე და როგორ ებრალება ყველა მას, რახილს...

ამბობენ, რომ იქ, შორეულ ამერიკაში არ არის ისეთი განუსაზღვრელი სევდა; ამბობენ, რომ მხიარულათ და სწრაფათ პოულობენ ბედნიერებას ამერიკელი ამხანაგები.

ჩიკაგოს მოედანზე ათასობით ხალხია შეკრებილი; შუა ადგილას, მაღალ ოთხკუთხ სკამზე ერთი იქნევს ქუდს და ყველა, როგორც ერთი კაცი, სმენათ იქცევა; ეს — მკერვალთა გაფიცვაა.

სადღაც ქრება ეს სულისა და გულის მომწამვლელი მარტოობა და გრძნობ, რომ შენ — ყველა ხარ და ყველა — ეს შენა ხარ... რახილს უამბო ეს რევეკამ და წასვლის ხანს კიდეც უმღერა: „ყვე-

ნი კანონის ძალით პოლიცია ვალდებულია მოწმობები მისცეს იმ პირთ, რომელთაც ცალკე ბინა აქვთ დაქირავებული. პირველ, მეორე და მესამე დუმის არჩევნების დროს ასეთს მოწმობებს იძლეოდენ საპოლიციო უბნის ბოქაულები. პირველ, მეორე და ზოგიერთ შემთხვევებში მესამე საპოლიციო უბნის ბათუმის ბოქაულებს მოწმობების გაცემაზე მტკიცე უარი არ უთქვამთ. იმ ნაწილის ბოქაულმა კი, სადაც უმეტესათ ღარიბი ხალხი ბინადრობს, სახელდობრ მეოთხე ნაწილისამ, პირველათ ბინის დამქირავებლებს მოწმობების მიცემაზე მტკიცე უარი მოახსენა. თავს იმით იმართლებდა, რომ ამის უფლება მას არა აქვს და მთხოვნელებს პოლიცმეისტერის კანცელარიაში ურჩევდა წასვლას. საპოლიციო სამართველოში კი ბინის დამქირავებლებს ეუბნებოდენ: ახლა მოცლა არ გვაქვს და შემდეგ მოდითო. ცნობილია, თუ როგორ არ ეხალისებათ მცხოვრებლებს ყოველდღე პოლიციის კარებთან ატუზვა. ბევრმა ეს დაბრკოლება დაუძლეველათ სცნო და სულ მიანება თავი მოწმობის აღებას. მარა ზოგიერთებმა ქალაქის თავის სახელზე ქალაქის თვითმართველობაში განცხადება შეიტანეს, რომ მეოთხე ნაწილის ბოქაული მოწმობებს არ იძლევა და ითხოვდენ ეღონა რამე ამის შესახებ ქალაქის გამგეობას. ქალაქის თავს ეს განცხადება გუბერნატორისთვის წარუდგინა და ამის შემდეგ მეოთხე ნაწილის ბოქაული უარს აღარ ამბობს მოწმობების გაცემაზე.

ეს ერთი. მეორე ის, რომ თვით იმ დაწესებულებაში, რომელიც საარჩევნო სიას ადგენს, ე. ი. ქალაქის თვითმართველობაში, როგორც ჩანს, ისეთი ლტოლვილებაა, რომ იქ რაც ნაკლებათ ჩაეწერებიან ბინის დამქირავებელნი, მით უკეთესია ვიღაცასათვის. რომ ვინმე არ გამიჯავრდეს და თქმული რომ ლიტონ ფრაზათ არ ჩამომართვას, აქავე მოვიყვან ამის დამამტკიცებელ ფაქტებს.

ქალაქის გამგეობამ 3 ივნისს გამოაცხადა, რომ სხვათა შორის ბინის დამქირავებლებმა 7 ივნისს უნდა წარმოადგინონ პოლიციის მოწმობებიო. ე. ი. ბინის დამქირავებელთ 4 დღე მისცეს ვადა მოწმობების წარსადგენათ! ვფიქრობ, რომ ბათუმის ქალაქის გამგეობა მთელ რუსეთის იმპერიაში პირველი გამგეობაა, რომელმაც ასე მოკლე ვადა მისცა ბინის დამქირავებელთ. მართალია საარჩევნო კანონის თანახმად ამრჩევლებს უფლება აქვთ საარჩევნო სიების ფაქტიურათ გამოქვეყნებამდე წარადგინონ მოწმობები და ამის უარს მათ ვერ ეტყვიან, მარა ყველა ამრჩეველი არ არის გაცნობილი საარჩევნო კანონთან. ასეთ ამრჩევლებს გონიათ, რომ რაკი ქალაქის გამგეობამ ვადათ 7 ივნისი დანიშნა, მაშ მერე აღარ შეიძლება მოწმობის წარდგენაო და 7 ივნისის შემდეგ, თუ მას ვინმემ არ განუმარტა საარჩევნო კანონი, ხელს იღებს მოწმობის აღებაზე.

საინტერესოა იცოდეს საზოგადოებამ, თუ რით ხელმძღვანელობდა ბათუმის ქალაქის გამგეობა, როცა ის ასე მოკლე ვადას ნიშნავდა მოწმობების წარსადგენათ? სურდა მას ამით, რომ ამაში რუსეთის ყველა თვითმართველოების შორის პირველობა გამოეჩინა, თუ სხვა რამ მოსაზრება ახელმძღვანელებდა—ეს ჯერ ფართე საზოგადოებისათვის გამოუცნობელია; შეიძლება ვიწრო წრეებისათვის ცხადი იყოს, თუ რაშია საქმე და რას გულისხმობს ქალაქის გამგეობის მდივანი ბ-ნი მესხი, რომელსაც ქალაქის გამგეობიდან დავალებული აქვს სიების შედგენა, მარა ვიმეორებ, ფართე საზოგადოებისათვის ჯერ ეს გამოუცნობელია. გამოიცნობა კი ამ „მეცადინეობის" სარჩული „ვიბორშჩიკების" და სადეპუტატო ვაჟის წამოყენების დროს. მანამ კი საზოგადოებამ იცის მხოლოთ ის, რომ ბათუმის ქალაქის გამგეობამ დიდი სულსწრაფვა გამოიჩინა მოწმობების წარსადგენათ ბინის დამქირავებელთათვის მხოლოთ ოთხი დღის ვადის მიცემით.

მარა აქ არ თავდება ისტორია ამ საქმისა. ამრჩევლებმა მაინც გაიგეს, რომ მათ უფლება აქვთ წარადგინონ მოწმობები 7 ივნისის შემდეგაც, სიების ფაქტიურათ გამოქვეყნებამდე. სიები კი უნდა გამოქვეყნდეს პირველიდან რვა აგვისტომდე. და რაკი ეს გაიგეს ბინის დამქირავებლებმა, გაცხარდა საარჩევნო მუშაობა ბათუმის ქალაქის თვითმართველობაში. ჩვენ ნამდვილ წყაროებიდან გავიგეთ, რომ ბ-ნ მესხს თითქმის მოთავებული აქვს სიების შედგენა- რა თქმა უნდა, სიჩქარე და სიყოჩაღე საქმეში არავის არ გაემტყუნება; არ გაემტყუნება ეს არც სიების შემდგენ ბ-ნ ივანე მესხს რომ აქ ერთი გარემოება არ იყოს მისაღები მხედველობაში. ეს გარემოება კი შემდეგში მდგომარეობს. ნამდვილსავე წყაროებიდან გავიგეთ ჩვენ შემდეგი:

მისულა ბ-ნ ივანე მესხთან ერთი ვინმე ბინის დამქირავებელი და განუცხადებია, რომ სურს მას პოლიციის მოწმობის წარდგენა და, მაშასადამე, სურს, რომ არჩევნებში ხმა ქონდეს.—სად იყავი ამ დრომდისო,—გაეკვირვებია ბ-ნ მესხს,—ჩვენ ნამესტნიკის ცირკულიარი გვაქვს, რომელიც გვავალებს, რომ პოლიციის მოწმობები ბინის დამქირავებელთაგან მივიღოთ მხოლოთ ერთი თვის განმავლობაში, დღიდან მოწერილობის მიღებისა, სიების შედგენის შესახებო. რაც ეს მოწერილობა მივიღეთ, მას მერე ერთი თვე უკვე გავიდა და მაშასადამე თქვენ მოწმობის წარმოდგენის ვადა უკვე გაგივიდათო.

სწორეთ ასე ებრძანებია ბ-ნ მესხს. მერე როცა შეკითხებიან ბ-ნ მდივანს, თუ რომელ არჩევნებს ეხება ხსენებული ცირკულიარი, მას მორცხვად, მარა საკმაოთ რიხიანათ ეთქვა:—პირველ დუმის არჩევნებს, მარა ცირკულიარი რაკი გვაქვს, მაშ მეოთხე დუმის არჩევნებსაც ეხებაო! და რაკი შეუმჩნევია, რომ ამ სიცრუეს არ უჯერიან, დაუმატებია: წარმოადგინეთ მოწმობა და საარჩევნო კომისიას წარვუდგენთ; თუ კანონიერი ვადა არ გაგიშვიათ, კომისია იმსჯელებს და იქნებ შეგიტანონ დამატებითი სიაშიო.

ჩვენ გაგვიგონია, რომ ბ-ნი მესხი კანონების ცოდნაში გულუბრყვილო კაცი არ არის და თუ მართლა ის მცოდნეა იმ კანონისა, რომლის თანახმათ მან საარჩევნო სია უნდა შეადგინოს, მაშინ მას, თქმა არ უნდა, კარგად ეცოდინება, რომ რაც ნამესტნიკის ცირკულიარის შესახებ ბრძანა მან, იმ ცირკულიარის, რომელიც პირველი დუმის არჩევნებს შეეხებოდა, ყოველივე მას არავითარი კავშირი არა აქვს მეოთხე დუმის არჩევნებთან. ეცოდინება ბ-ნ მესხს, რომ სამივე დუმის არჩევნების შესახებ ცალცალკე იცემოდა ცირკულიარები, რომ ეს ცირკულიარები იცვლებოდა. რაც პირველ დუმას შეეხებოდა, ის მეორე დუმის არჩევნების დროს იცვლებოდა. ეცოდინება ბ. მესხს ისიც, რომ მეოთხე დუმის არჩევნების შესახებ უნდა ხელმძღვანელობდენ სიის შემდგენლები იმ ცირკულიარებით, რომლებიც ამ ბოლო დროს გამოიცა. უნდა იცოდეს ბ-ნმა მესხმა ისიც, რომ საარჩევნო კანონის მე-57 მუხლის ერთ-ერთი განმარტება ამბობს: **ის დაწესებულებანი, რომლებიც საარჩევნო სიებს ადგენენ, ვალდებული არიან მიიღონ ამრჩეველთაგან წარმოდგენილი განცხადებანი 57 მუხლის თანახმათ საარჩევნო სიების ფაქტიურათ გამოქვეყნებამდე.** და ყოველივე ეს თუ არ იცის ბ-ნმა მესხმა და, მიუხედავათ ამ არცოდნისა, მან მაინც თანხმობა განაცხადა უხელმძღვანელოს სიების შედგენის საქმეს და იღოს ამაში განსაკუთრებითი ჯილდო, მაშინ უნდა მოხსენდეს მას, რომ მისი ასეთი საქციელი ვერ არის რიგიანი. ბათუმის ქალაქის გამგეობას კი უნდა მოხსენდეს, რომ სიების შედგენის ხელმძღვანელათ ისეთი პირი უნდა მონახოს, რომელიც გაცნობილია სამი ივნისის საარჩევნო კანონთან და რომელიც პირველი დუმისარჩევნებს არ მიაწერს. ეს მით უმეტეს უნდა მოეთხოვოს ქალაქის გამგეობას, რომ სიების შედგენაზე გამგეობის ფული კი არ იხარჯება, არამედ მოქალაქეებისა.

ვიცით რა რომ ბ. მესხი სწრაფი და ყოჩაღი კაცია, საბუთს არ იქნება მოკლებული თუ ვიტყვით, რომ საარჩევნო სიებს ის დაამზადებს სწორეთ პირველი აგვისტოსათვის, თუმცა მას უფლება აქვს გამოაქვეყნოს სიები რვა აგვისტოს. ამით, რა თქმა უნდა, ბინის დამქირავებელთ რვა დღით შეუმოკლდებათ მოწმობების წარდგენის ვადა, მარა ბ. მესხის გული ეფიქრობთ, გაუძლებს ამ დარდს.

ასეთი დაბრკოლებანი ხვდებათ წინ ბინის დამქირავებელთ. მარა, ვისაც უფლება აქვთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა, მათ უნდა გადალახონ ეს დაბრკოლებანი. მათ არ უნდა დაივიწყონ, რომ არჩევნებში მონაწილეობის მიღება მათი კერძო საქმე კი არ არის, არამედ მათი მონაწილეობა საზოგადო საქმეა. ამ საზოგადო საქმისათვის, იგინი ზნეობრივათ ვალდებული არიან თუნდ ორჯერაც მოუხდეთ საპოლიციო ნაწილში მისვლა, მაინც მივიდენ და აიღონ მოწმობები. უნდა იცოდენ, რომ იგინი ამით არავითარ უკანონობას არ ჩადიან, არამედ კანონის თანახმად იქცევიან, რომ კანონით მათ უფლება აქვთ მოითხოვონ პოლიციის ბოქაულთაგან მოწმობები.

რაკი მოსალოდნელია, რომ ბათუმის ქალაქის გამგეობა პირველ აგვისტოსთვის გამოაქვეყნებს სიებს, ამიტომ იმ ბინის დამქირავებლებმა, რომელთაც უფლება აქვთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა (აქვთ ცალკე ბინა დაქირავებული, ცალკე შესასვლელით და სამზარეულოთი არა ნაკლებ ერთი წლის განმავლობისა), უნდა ეცადონ, და პირველ აგვისტომდე უნდა წარადგინონ ქალაქის თვითმართველობაში პოლიციის მოწმობები. თუ ბ-ნი მესხი კვლავ პირველი დუმის არჩევნების შესახებ, ცირკულიარზე დაუწყებს მათ ლაპარაკს და ეტყვის, რომ ახლა გვიანაა მოწმობების წარმოდგენაო,—უნდა იცოდენ ამრჩევლებმა, რომ ბ-ნი მესხის მიერ არქივიდან ძველი ცირკულიარის ამოძვრენას, არავითარი ძალა არა აქვს, მეოთხე დუმის არჩევნების შესახებ.

ბინის დამქირავებლებმა თავიანთი განცხადება მაინც დაუტოვონ მას. ქალაქის გამგეობას, კანონით არა აქვს უფლება, საარჩევნო სიების გამოქვეყნებამდე არ მიიღოს განცხადებები მოწმობებითურთ.

საჭიროა მეტი სიფხიზლე, და მეტი შეგნება თავიანთ მოქალაქობრივ მოვალეობისა.

X.

# დეპეშები.

პ. ტ. ს.

20 ივლისი.

**რუსეთი.**

**პეტერბურგი.** ქალაქის უფროსმა დაადგინა დაატუსაღონ სამი თვით გაზ. „პრავდის" რედაქტორი, რადგანაც 19 ივლ. ნომერში მოთავსებულია სტატია „ძალისთვის".

მინისტრთა საბჭომ განიხილა საკითხი უწყებათათვის სამოწყალო თანხის გადადების შესახებ, რომელიც უნდა დარიგდეს 26 აგვისტოს ბარადინოს ველზე 1812 წელს ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვების სახსოვრათ.

**ვიტებსკი.** ხოლერა ქალაქშიაც გაჩნდა. მაზრაში ხოლერით ავათ გამხდარა სულ 17; ამ ორ უკანასკნელ დღეში ხოლერით ავათ არავინ გამხდარა.

**ხოი** ს. სენდავარის მცხოვრებმა სომხებმა თხოვნა მიართვეს რუსეთის ელჩს, რომ ისინი მართმადიდებლებათ ჩარიცხონ; სომხების ასეთი სურვილი გამოწვეულია იმ განზრახვით, რომ მათ თავი შეაფარონ რუსეთს და თავი დააღწიონ იმ აწიოკებას, რომელსაც მათ სპარსეთში აყენებენ.

**უცხოეთი**

**პეკინი.** მორისონი დაინიშნა პოლიტიკურ მრჩეველათ ჩინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან, ხუთის წლის ვადის კონტრაქტით.

**ლონდონი.** გრეიმ სპარსეთისგან სესხის აღების შესახებ კრებას უპასუხა, რომ სპარსეთმა ამას წინათ, 7 მარტს მიიღო ერთხელ ავანსათ სესხი რუსეთ—ბრიტანიის მთავრობათაგან, ახლა მეორეთაც თხოულობს ის ავანსს, მარა ამას წინ ის გარემოება ეღობება, რომ ჯერ რუსეთს არ აქვს განსაზღვრული სესხის იმ ნაწილის რაოდენობა, რაც მან უნდა გაიღოს ამ საქმისთვის.

# წერილი ფოთიდან.

(შემდეგი)

იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა საქონლის პატრონმა თავის მუშას გააცლევინა „დროგი", მაგრამ მას მაინც გადაახდევინეს საფუთო გადასახადი 2 კაპ. ფუთზე.*) მაგრამ ეს ფაქტები ჩვენ აქ არ გვაინტერესებს. გაკვრით კი უნდა შევნიშნოთ, რომ ამან სხვათაშორის დიდი აურ-ზაური გამოიწვია და საქმეში ადგილობრივი საბირჟო კომიტეტიც ჩაერია, რის შემდეგ მოხთა შეთანხმება და დაწესდა ასეთი საფუთო გადასახადი: საქონლის პატრონი „პოდნოსკის" სახით 50 ფუთამდე იხდის ფუთზე 1 კაპ. ხოლო ზევით კი $1^1/_2$ კ. მაგრამ ეს საშვალებაც საკმაო არ გამოდგა და ბბ. „რეფორმატორებმა" მიმართეს ჩვეულებრივ საშვალებას.—ამუშავებენ მუშებს ხშირათ შუაღამემდე, და ამ რიგათ სამუშაო დღე ამ ვაჟბატონების წყალობით გადიდებულ იქნა. ამას მოყვა მუშების უდიერათ მოპყრობა. ბევრი გაიძახის: „აქამდის გამარჯობას არ კადრულობდენ, დღეს კი გავხრითო" და სხვადასხვა. თუ ყოველივე ამას მივიღებთ მხედველობაში, ჩვენთვის აშკარა იქნება, თუ რა შედეგები მოგვცა ახალმა „რეფორმებმა". მან მუშები დაუქვემდებარა მთელ ხროვას უფროსებისას, რომლებიც ისე განაგებენ, როგორც მოისურვებენ. სამუშაო დღე ძალზე იქნა გაგრძელებული და ხელფასმა კი იკლო. თუ ამას მიუმატებთ ათასნაირ „პრეტენზიების" დაკმაყოფილებას, ადვილათ წარმოიდგენთ, თუ რა დარჩებათ მუშებს ამ „რეფორმების" შემდეგ.

„რეფორმატორები" კი „პრემიებზე" ოცნებობდენ და რომ მით წაეხალისებიათ სხვებიც (მაგალითად მეისრენი დარაჯები და სხვა) იმათაც „პრემიები" შეპირდენ და ამ რიგათ მოისურვეს მუშების მუშებისვე წინააღმდეგ გამოეყენებინათ და სამწუხაროთ კიდევაც გამოიყენეს ისინი ასეთ ბრმა იარაღათ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ, როცა მუშები „რეფორმატორებს" უსაყვედურებენ: „რათ დაგვღუპეთ ჩვენო, ისინი ხატსა და ჯვარზე ეფიცებიან მათ, ჩვენ არაფერ შვაში ვართ, სამართველომ მოგვახვია ყოველივე ეს თავზეო და იმავ დროს კი დაუფარავათ გაყვირიან დეფიციტებზე და სხვა მაგვარებზე. მაგალითად ამ დღეებში სადგურის უფროსმა ბ-ნმა ბეგთაბეგოვმა საჯაროთ განაცხადა, რომ „ჩვენ ამ თვეში 650 მანეთი დეფიციტი ვნახეთო". ნეტავ ვიცოდეთ საიდან მოვიდა ეს „დეფიციტი" თუ ისინი არაფერ შვაში არიან?! რომ მათ ეცადენ ეს საქმე მუშათა არტელისთვის გამოეცალათ ხელიდან, ამას მოწმობს კიდევ ამ დღეებში მომხდარი ფაქტი. ამ დღეებში მუშებს კატეგორიულათ განუცხადეს, რომ 19 კაცი გინდათ—არ გინდათ, უნდა დაითხოვოთო. ამის შესახებ მოლაპარაკება გაჩაღდა, მაგრამ არა ეშველა რა საქმეს და ახალმა მოიჯარადრეებმა მართლაც დაითხოვეს19 კაცი თურმე მაინც და მაინც სასარგებლო არ ყოფილა მუშების შევიწროება, ზედმეტი მუშაობის გაწევა და ყოველივე ეს სამართველოს სასარგებლოთ; ვაგონზე 2 მან. 25 კაპ. არ აკმაყოფილებს ჯამაგირებს და ამ თვეში „პრემიებს" თქვენი პირი წაუღიათ. დეფიციტი კი 650 მან. ბ-ნ ბეგთაბეგოვის განცხადებით... რა უშველის საქმეს? ჯამაგირების შემოკლება, მაგრამ ის უკვე დამტკიცებულია, მაშასადამე მუშების დათხოვა იხსნის ბ.ბ. „მოიჯარადრეთ". და აი მათ მართლადაც დაითხოვეს 19 მუშა შემდეგის ანგარიშით. დეფიციტი ამ თვეში უდრის 650 მ., მაშ დავითხოვოთ 19 კაცი. ეს 19 კაცი ორი კატეგორიისა, 17 უბრალო მუშა და 2 პარტიის მეთაური. ($17 \times 35 = 595$ მან. $2 \times 40 = 80$ მან.) სულ კი 674 მან. ეს დეფიციტს ფარავს რა თქმა უნდა!

მუშებმა კი აქ გამოიჩინეს ამხანაგური გრძნობა და დიდის მსჯელობის შემდეგ დაადგინეს, თვეში ოთხი დღე თვითეული მათგანი მოცდეს მუშაობას, რომ „მოიჯარადრეების" მიერ დათხოვილ ამხანაგობას დაურჩეთ სამუშაო და მათაც აიღონ ხვედრი ჯამაგირი. ეს მეტად მოსაწონია, რა თქმა უნდა, მოწმობს მუშების სოლიდარობას. ეხლა აღვნიშნავთ რამდენიმე შტრიხებს შეცვლილ პირობების დასახასიათებლათ. ამ დღეებში 10 ივლისს, რახან ძლიერ დიდხანს ამუშავეს მუშები, უკანასკნელებმა მუშაობაზე უარი განაცხადეს. მათთან მოვიდა ბ-ნი კუპაიძე (ეს ის კუპაიძეა, რომელმაც თფილისში ყოფნის დროს მოინდომა იქაურ მუშათა (ვოგზლის) არტელის ისევე მოწყობა, როგორც მან ეს ფოთში მოაწყო. დანარჩენ „კოლეგების" დახმარებით) და დაუწყო მათ რჩევა, განეგრძოთ მუშაობა, რადგან მათ სამუშაოდან გააძევებენ და ელისავეტპოლიდან ჩამოიყვანებენ მუშებსო" მაგრამ მუშებმა 6 საათის შემდეგ მაინც არ იმუშავეს.

ანალოგიურ შემთხვევას ქონდა ადგილი 13 ივლისს. ბ-ნმა მაქაცაროვმა, მუშებზე გაბრაზებულმა, ჟანდარმს მოუწოდა „არ მუშაობენ და აიძულე იმუშაონ"-ო, მაგრამ ჟანდარმმა ყურად არ იღო ბ-ნ მაქაცაროვის ბრძანება! ეს ის მაქაცაროვია, რომელსაც მისივე განცხადებით, ძლიერ ეცოდება მუშები, ერთ დროს მათთვის თავიც კი დაუდვია! თორემ ასე რომ არ მოქცეულიყო, ეხლა „ნაჩალნიკი"-ც კი იქნებოდა!! სხვა მოსამსახურენიც ბლომადა არიან, რა თქმა უნდა, რომლებიც უშვეის გინებითა უმასპინძლდებიან მუშებს. მაგრამ ამ კაცუნების სიისთვის ამ წერილში არ გვცალია. აი რა მოგვიტანა ჯერ-ჯერობით ახალმა „რეფორმებმა"!

(შემდეგი იქნება).

*) როგორც მაგალითად პონომარიოვის წარმომადგენელს.

# სოციალიზმი ახალ ზელანდიაში.

— —

ამ დღეებში ველინგტონში მოხდა ახალი (ავსტრალიის კუნძულზე) ზელანდიის „სიზდი". ეს პირველი „სიზდი", რომელზედაც ახალ ზელანდიის მუშებმა სოციალისტების ენით ილაპარაკეს და

ლა მაშვრალნი ერთ ოჯახათ შეერთდებიან"... და აი, მაშინ, შეიძლება გაქრეს კიდეც რახილის სევდა... მართლაც იქ, შორეულ ამერიკაში ხომ არ დაიკარგა, აქ მარტოთ დარჩენილ რახილის ბედნიერება? მაგრამ მაშინ ის ვერ იხილავს თავის სამშობლო ქალაქის მტვერიან ქუჩებს, ვერ იხილავს იმ სახლს, სადაც შლებერის ასულის თითები მღერდენ გულის ამტოკებელ და სევდების აღმძვრელ მელოდიებს, ვერ იხილავს მუშა ქალების ბრბოს და თვით ამ ძველ ვარშავასაც...

ახლა სიმღერები? განა ამერიკაში მღერიან ისეთ უბედურ და ნაზ სიმღერებს, როგორც აქა?

„იქნებ გგონია, რომ დედა ხარ
ჩვენი მშობელი?
„არა, ბოროტი ხარ შენ ჩვენთვის
დედინაცვალი!"

„უცხო მხარე—დედინაცვალი",—ჩაილაპარაკა რახილმა. მაგრამ რისთვის ენატრება მას აგრე ეს უცხო მხარე, და რისთვის არასოდეს არ წავა ის იქა?..

საღამო კი უფრო და უფრო ღრმავდება, უკვე თითქმის ღამეა და ვარშავის უმთავრეს ქუჩებზე ახლა მართლაც რომ მხიარულებაა. მაშ, რისთვის არ გინდა შენ, რახილ, იქ წასვლა? შენ ისეთი ლამაზი მოყვანილება გაქვს; შავი, ოდნავ გახუნებული ტანთსაცმელი თეთრი საყელოთი ისეთ მიმზიდველ გამომეტყველებას გაძლევს...

განა არ შეგიძლია შენ, რახილ, მხიარულათ გაისეირნო საუკეთესო ქუჩაზე, დაისვენო ვინმესთან ყავახანაში, ანდა უდარდელათ გაატარო ერთი-ორი საათი სადმე სასტუმროში წითელ ღვინოსთან?..

ირგვლივ მიიმართება იგივე ათასფრათ გამოწყობილი ბრბო და თითქოს ცეკვავს ისეთ მხიარულ, ისეთ სევდიან ცეკვას!!.

...ახ, იცით, რა! საღამო ისე მშვენიერია და ისეთ ნაზ სურნელებას აბნევს ირგვლივ თეთრი ეკლის ხე, რომ რახილი ჩაღუნავს თავს, გასწევს პირდაპირ ძველ-სახელოსნოს ქუჩისკენ და მარტოთ-მარტო ჩამოჯდება თავის მამიდის საწვრილმანოს წინ გამართულ სკამზე, ჩამოჯდება და იმღერებს (რასაკვირველია ჩუმათ, თავისთვის,—ის ხომ არ მღერის!), მთელი თავისი ტანჯული არსებით იმღერებს: „დაბურულ ტყეში გზა დაკარგულსა"... ან სხვა რამეს, ეს სულ ერთია! მოხუცი მამიდა კი მიხურავს თავის საწვრილმანოს დარაბებს და გვერდით მიუჯდება მას...

— იქნებ... იქნებ ჩვენც გვეღირსოს ის დრო, როდესაც „ყველა მშრომელნი ერთ ოჯახათ შეერთდებიან",—ფიქრობს რახილი და საჩქაროთ უხვევს ძველ-სახელოსნოს ვიწრო ქუჩისკენ.

ათასფრათ გამოწყობილი ბრბო კი განაგრძობს თავის მხიარულ, თავის სევდიან ცეკვას. №

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელის შვ-ბის სავაჭრო სახლი

ამით ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ მიღებულია რკინის კოჭები (двутавровыя балки), ——— ალიბასტრი ბახმუტის საუკეთესო ხარისხის, ცემენტი პორტლანდიის და იყიდება ზომიერ ფასებში.

# ? დავით ქეზაძე ?

მეითხველთა საყურადღებოთ

ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა ძმ. გოკიელოვების სავაჭროს გვერდით

## სავაჭროში ძმ. ფ. და ლ. ფილიპოვების სავაჭროში

იყიდება შემდეგი საქონელი: ფარფორის, ფაიანსის, შუშეულის ნივთები, ყოველგვარი ლამპები, ემალიანი ჭურჭლები, სამზარეულოს ფეჩები და სპირტოვკები, სამოვრები, უთოები, მელხიორის ნივთები, ყოველგვარი კრაოტები, გიტარები, კლიონკები, სკამები და მარმარილოს პირ-საბანები და სხვა. დიდი კოლექცია ბავშვების სათამაშოების და ბევრი სხვა და სხვა საფეშქაშო ნივთების.

პარტიით მყიდველთა საყურადღებოთ აქვე იყიდება დიდ-ძალი საპარტიო ყოველ გვარი ფაიანსის და შუშეულის საქონლები,

ფასები შესამჩნევათ დაკლებულია.

მეითხველთა საყურადღებოთ

### ავეჯეულობის და ჭურჭლეულობის

## სავაჭრო კ. ა. მაჭარაძის და პ. ა. ჭეიშვილის ბათუმში,

დუნდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა, № 23.

სადაც მოიპოვება საუკეთესო ხარისხის ყოველგვარი **ნივთები** როგორც: რკინის ლოგინები ცნობილ ინგლისის სისტემის, „ვაველ"-ის, ზღვის ბალახის ლებები, რბილი ავეჯეულობა, ვენის სკამები, კარალიკებით სტოლები, პირ-საბანები, შკაფები, ბუფეტები, საყინულეები, კამოდები, სარკეები, ფარფორის, ფაინსის, ემალის და ქიქის ჭურჭლები, ლამფები, ნავთით და ქვის ნახშირით ასანთები ფეჩები, სამოვრებ, სტოლის და იატაკზე დასაგები კლიონკა, ლინოლეუმები და სხვა...

აქვე საწყობი ცნობილ „სამხრეთ-რუსის აქციონერულ საზოგადოების" ლუდის (პივოს) ქარხნისა 0—2

ფასები ყველა საქონელზე ხელმისაწდომია.


ოფიციალურათ გადაწყვიტეს მიმართონ საერთაშორისო პროლეტარიატს. „სიეზდმა" დაადგინა აგრეთვე, რომ სოციალისტების „სიეზდზე" დასაწერათ ვენაში თავიანთი დელეგატი გაგზავნონ.

„სიეზდმა" განსაკუთრებული რეზოლიუცია გამოიტანა იმის შესახებ, რომ მუშებისათვის აუცილებელია პოლიტიკური ბრძოლის წარმოება. საქმე იმაშია, რომ ახალ ზელანდიის მუშები აქამდე ლიბერალების გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ, „სიეზდის" წევრებმა საქვეყნოთ აღიარეს, რომ დღეიდან ისინი მარტო სოციალდემოკრატიულ პარტიას თვლიან თავის ინტერესების დამცველათ და გამომხატველათ.

„სიეზდის" დახურვის წინ თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნეს ინგლისში გაფიცულ მუშებს.

## დაბა-სოფელი.

**დ. ნაოლალევი.** 13 ივლისს აქ შკოლის შენობაში წაიკითხა ლექცია ა. ფაღავამ „თამარ მეფეზე" და „ვეფხის ტყაოსანზე"; ცუდი ამინდის მიუხედავათ, ხალხი ბლომათ დაესწრო ლექციას. არ დადგმულა აქ ისეთი წარმოდგენა, რომელსაც ხალხი ბლომათ არ დასწრებოდეს. უკანასკნელ წარმოდგენაზე, 30 ივნისს, თითქმის ხალხის ტევა აღარ იყო; ამას მოწმობს შემოსავალიც, რომელიც 190 მანეთს უდრის და რომლის საშუალებითაც დღეს ადგილობრივი ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სახლი იდგმება. ხალხი ლექციებსაც ძალიან ეტანება, მაგრამ, საუბედუროთ, როგორც პირველი, ისე უკანასკნელი აქ ხშირათ აღარ იმართება, რის უმთავრეს მიზეზათ მუდმივი თეატრის შენობის უქონლობა უნდა ჩაითვალოს; საჭიროა ეს ნაკლიც მალე შეივსოს, რომ ახლო მომავალში მეტი წარმოდგენა დაიდგას.

— ამ დღეებში ნაოლალევის მახლობლათ ქ. მ. ძაძამიებმა დაიჭირეს და ადგილობრივ პოლიციას გადასცეს. ინჩხურის მცხოვრები, დათიკო დგებუაძე, რომელსაც, როგორც ამბობენ, სხვადასხვა დიდი დანაშაულობა ქონია ჩადენილი, რაისთვისაც ის იმალებოდა თურმე. საქმის ვითარება ასე ყოფილა: დათიკო დგებუაძე ვიღაც ლაგვილავას შეუცდენია და მისი რჩევით დაცემია ძაძამიებს ქალის მოსატაცებლათ, მაგრამ უკანასკნელთ დგებუაძე დაუჭერიათ, წაურთმევიათ იარაღი, შეუკრავთ ბაწრით და გადაუციათ პოლიციისათვის. მესამე დღესვე დგებუაძე გაგზავნეს სამაზრო ციხეში დ. ახალ-სენაკში. 14 ივლისს შეიპყრო აგრეთვე პოლიციამ ს. ინჩხურის მცხოვრები ბებეჭკორი, რომელსაც ძაძამიებზე დაცემაში მონაწილეობას აბრალებენ.

ალი.

## მუშათა ცხოვრება.

**ბათუმის რკინის გზის მოსამსახურეთა შორის.** ბათუმის რკინის გზის საქონლის სადგურში გასულ კვირას შემდეგი განცხადება იყო გამოკრული სადგურის უფროსის თანაშემწის მარტინოვის მიერ ხელმოწერილი: „ვინაიდან ამ ბოლო დროს ავათმყოფთ და „ოტპუსკში" წასულ მოსამსახურეთა რიცხვმა თვალსაჩინოთ იმატა, ამით ვაცხადებ, რომ თანახმად პირველი განყოფილების უფროსის განკარგულებისა, სამი „სმენის" მაგიერ შემოღებულია ორი „სმენა" და მოსამსახურეები ვალდებული არიან გამოცხადდენ სადგურში უეჭველ 12-ტი საათის დასვენების შემდეგ და უცადოთ სადგურის უფროსის თანაშემწის განკარგულებას; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სასტიკად დააჯარიმებენ და გადაიყვანენ ბაქოს მხარეზე. როგორც კი ადგილზე გამოცხადდებიან, ვალდებული არიან აღნიშნონ ეს ხელის მოწერით, ამ შემთხვევისთვის განსაკუთრებით შემოღებულ წიგნში". დღემდე კი მუდამ იყვნენ დაქირავებული ზედმეტი მომუშავეები: 5-დან 10-დე და ამას გარდა უეჭველ დღე მუშაობდა 4—5- დღიური მუშა ავათმყოფ მოსამსახურეთა ადგილზე. მართალია რკინის გზის სამსახურის „ინსტრუქციის" ერთი მუხლი ავალებს მოსამსახურეებს უეჭველ შემთხვევისათვის გამოცხადდენ უეჭველ თორმეტი საათის დასვენების შემდეგ, მაგრამ ეს „უეჭველ შემთხვევისათვის" და არა „ოტპუსკში" წასულთა მაგიერ; და სამის მაგიერ ორი „სმენის" შემოღება დღემდე არავის უფიქრია. როგორც ყველაფრიდან ჩანს, ეს „რეფორმა" იმ მიზნით არის მოხდენილი, რომ ავტორმა რითიმე დაიწინაუროს სამსახურში. ამ მიზნისთვის ამ „რეფორმის" ავტორი სხვა საშვალებასაც ხშირათ მიმართავს ხოლმე. ამნაირათ აქაური რკ. გზ. მუშები იძულებული არიან მიიღონ მათთვის შემავიწროებელი წესები.

უფრო სამწუხარო კი ის მოვლენაა, რომ ზოგიერთი მუშა არაფრათ აგდებს ამ შევიწროებას და ხშირათ იმ აზრისაა, რომ თავისუფალი დრო უფრო მავნებელია მისთვის, ვიდრე „სამსახური". მას ვერ წარმოუდგენია, რომ თავისუფალი დრო კარტ-ნარდის გარდა სხვა რაიმე სასარგებლო საქმეზე მოიხმარება.

დროა, ბათუმის რკ. გზ. მუშებმა უფრო ათხოვონ თავის საქმეს და საურთიერთო მჭიდრო კავშირით მდგომარეობა გაიუმჯობესონ.

ვინმე.

— —

**ქ. ფოთის ნოქრების მდგომარეობა.** ბევრი ითქვა და დაიწერა იმ ჯოჯოხეთური პირობების შესახებ, რომელსაც აქაური ნოქრები განიცდიან, მაგრამ, ყურადღება არავინ მიაქცია. სავალდებულო დადგენილებას დასვენების შესახებ, რომელიც თვით ვაჭრებმა შეიმუშავეს, არღვევენ. გარდა იმისა, რომ საქმე დღეებში ადრე აღებენ და გვიან კეტავენ სავაჭროებს, კვირა-უქმე დღეებშიაც აღარ ისვენებენ. ამ გარემოებას უმთავრესად ხელს უწყობს დადგენილების იმ მუხლის გაუქმება, (თუმცა მთელი დადგენილება გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს) რომელშიაც აღნიშნულია, რომ, 15 წელზე ნაკლები ხნის ბავში არ უნდა მსახურებდესო. ზოგიერთმა ვაჭარმა მოიმწყვდია რა სავაჭროში ბალღები, რომელნიც ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ გაუწევენ მას, სულაც არ ფიქრობს თუ ისინიც ადამიანები არიან და მოსვენება ეჭირვებათ. ამ მცირეწლოვან ბავშებს და საზოგადოთ ნოქრებს არა აქვთ საშვალება სხვადასხვა მიზეზების გამო, რომ თვით დაიცვან თავიანთი უფლებები.

ამ რამდენიმე თვის წინათ ვიღაც გ. ა—ძეს და ყოფილ „მზრუნველებს" დიდი განგაში ქონდათ ატეხილი ამ საქმეზე ერთ ქართულ გაზეთში, მაგრამ „მზრუნველებმა" მალე თვითონვე უარყვეს თავიანთი მოვალეობა. ამრიგათ საქმე ისევ ძველებურ კალაპოტში ჩავარდა. მე მგონია დროა, თვით ნოქრებმა მიხედონ თავის საქმეს.

გ.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. სულაქველიძე.

## ქუთაისის ბაზარი.

ფუთი სიმიდის ფქვილი ღირს მანეთი და ორი შაური -- ექვსი აბაზი.

ფ. სიმიდი—თუთხმეტი შაური—ოთხი აბაზი და ერთი შაური.

ფ. ლობიო — შვიდი აბაზი, ჭყინტი ლობიო — შვიდი შაური.

ფ. კომბოსტო — აბაზი.

ფ. ქართოფილი — 7 შაური — ორი აბაზი

ფ. ახალი ხახვი — ათ შაურიდან თოთხმეტ შაურამდე.

გირვანქა ერბო (კარაქი) — ოცდა თვრამეტი კაპიკი — ორი აბაზი

ყველი ორ გირვანქა ნახევარი (ჩარექი) — ორი აბაზი.

ყველი გირვანქა — აბაზი.

გადაზელილი ყველი (სულგუნი) წყვილი — ხუთი შაური — ექვსი.

პური ფურნისა პირველი ხარისხის — სამი გირვანქა — ცამეტი კაპიკი, მეორე ხარისხის თორმეტი კაპიკი, მესამე ხარისხის ორი შაური.

თორნის პური პირველი ხარისხის სამი გირვანქა თოთხმეტი კაპ. მეორე ხარისხის 13 კაპ.

ხორცი — ძროხისა ცამეტი კაპ. — თერთმეტი კაპ. (ადგილობრივი)

ხორცი — ცხვრისა ცამეტი კაპ.

ხორცი — კამეჩისა რვა კაპ.

ქათამი — ათი შაური — ოთხი აბაზი.

ვარია — აბაზი — ექვსი შაური.

შეშა — ურემი შვიდი აბაზიდან — ცამეტამდი.

ღვინო ადგილობრივი ფუთი — თორმეტ აბაზიდან — თექვსმეტამდი.

კიტრი — ასი ორ აბაზათ, არჩეული ათ შაურათ — რვა-ათი — შაურათ.

სხალი — ფუთი ორი აბაზი — ათი შაური.

თხილი — „ თვრამეტი შაური დაურჩეველი, ორი მანეთი დარჩეული კაკალი.

პამიდორი ფუთი — ათი შაური — სამი აბაზი.

თევზი რიონის გირვ. შვიდი შაური

ეტლი ერთი გზა ქალაქში ხუთი შაური, სადგურამდე შვიდი შაური. სადგურიდან ცხრა შაური.

### მუშა ხელი.

მიწის მუშა დღეში თავის ხარჯით — ოთხი აბაზი — მანეთი.

დურგალი ექვსი აბაზი — რვა აბაზი.

კალატოზი, რვა აბაზი — ცხრა აბაზი.

### მატარებელთა საზაფხულო მიმოსვლა.

18 აპრილიდან 1912 წ.

(საათი აღნიშნულია ქუთაისის დროით).

**ქუთაისიდან გადის:**

**თფილისისაკენ:** ჩქარი № 31, 1 ს. 34 წ. ღამით, სახალხო № 33, 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 35 1 ს. 50 წ. დღით.

**ბათუმისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამით, ჩქარი № 33 4 ს. 40 წ. ღამით, ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღამ.

**ფოთისაკენ:** სახალხო № 31 1 ს. 34 წ. ღამ., სახალხო № 33 4 ს. 40 წ. ღამ., სახ. № 25 5 ს. 14 წ. საღ., ფოშტ. № 37 5 ს. 46 წ. საღ.

**შორაპნისაკენ:** სახ. № 29 4 ს. 45 საღ.

**ტყიბულისაკენ:** სახალხო № 42 4 ს. 5 წ. საღ., სახალხო № 104 7 ს. 50 წ. დილ.

**ქუთაისს მოდის:**

**თფილისიდან:** სახალ. № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახალხო № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 38 7 ს. 16 წ. საღ.

**ბათუმიდან:** სახალხო № 32 3 ს. 24 წ. ღამით, სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღით.

**ფოთიდან:** სახ. № 34 6 ს. 34 წ. დილ., ფოშტ. № 36 3 ს. 11 წ. დღ., სახალ. № 26 9 ს. 55 წ. დილ.

**შორაპნიდან:** სახალ. № 27 9 ს. 26 წ. დილ.

**ტყიბულიდან:** სახალ. № 41 11 ს. 9 წ. დილ., სახალ. № 103 7 ს. 30 წ. საღამ.


### ჭურჭლეულობის და ავეჯეულობის მაღაზია

## ძმათა ლლონტებისა

ქალაქ ფოთში (გ. რუხაძის გვერდით).

გვაქვს პატივი ვაცნობოთ ფოთისა და მახლობელ რაიონების საზოგადოებას, რომ ჩვენ სავაჭროში მიღებულია და ვღებულობთ ყოველ დღე დიდძალ შემდეგ საქონელს: ჭურჭლეულობა ფაიფურისა, ფაიანსისსა, ბროლისა, სპილენძისა, ემალისა, ალიუმინისა, ნიკელისა, თუჯისა და სხვა. ყოველგვარი მუზიკალური იარაღები, საპარიკმახერო ნივთები, სამოვრები, კლიონკები, სხვადასხვა ნაირი სახრაკავი მაშინკები, ლამპები ყოველგვარი გაზით მახურებელი სისტემის „Т-ВО СВѢТЪ". მაღაზიებისათვის, კანტორებისათვის და რესტორანებისათვის ვიძლევით სრული გარანტიით. აგრეთვე მიღებულია დიდძალი მელხიორის ნივთები, გვირგვინები, საკერავი მაშინები საუკეთესო სისტემის, ყოველგვარი სკამები, კრაოტები, მარმარილოს პირის საბანები, სარკეები და ყოველგვარი ავეჯეულობა, სრული მორთულობა სახლებისა, სასტუმროებისა და სხვადასხვა დაწესებულებისათვის.

ფასები დანიშნულია ზედ მიწევნით დაკლებული,

რაშიაც დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება თუ ერთჯერ მაინც კი შემობრძანდება ჩვენს სავაჭროში. პატივისცემით **ალექსანდრე** და **ლევან ლლონტები.**

## „ჯეჯილი"

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი. **ოცდა მესამე წელიწადი.** მიიღება ხელისმოწერა 1912 წლისათვის. გამოვა თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა. პატარაებისათვის და მოზრდილთათვის. **ჟურნალი „ჯეჯილი"** თფილისში ღირება 4 მანეთი, ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მანეთი. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი ორი აბაზი. ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შეუძლიათ მიმართონ: **ქუთაისში** — ისიდორე კვიცარიძეს, **ბაქოში** - ქ. მართა კვიტიაშვილს, **მიხაილოვში** — ვლად. ჩიქოვანს, **გორში** — კნ. თამარა თარხანიშვილს, **სამტრედიაში** — რაჟ. ნანეიშვილს, **თელავში** — კნ. ნ. ჩოლოყაშვილს, **სიღნაღში** — კნ. ნ. ანდრონიკაშვილს, **ჭიათურაში** — ქ. ჯაფარიძეს და ნიკო წუწუნავას, **ბათუმში** — მიხეილ კაღანდაძეს.

რედ. -გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის, ქუთაისში